



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000021885007118

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 8

06 / მარტი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა


ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ა. ქვეპუნქტის, 4-ქვეპუნქტი „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით შპს „ასიანი“-სათვის (დირექტორი კახა წელაური) გადაცემა. ს/კ 50.12.37.020
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი სოფ. ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის:
 - ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური -1984 ,0 (ერთიათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.
 - ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 25 წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



რამაზ ბალაკაშვილი